წლიწადი 1-ლი — ცალ. ფასი 10 კ. — ტელეფონი № 76. — ოთხშაბათი ივლისის 12 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

ბაზეთის ფასი: ნახევარი წლით 10 მან. თვიურათ 2 მან. ცალკე ნუმერი ათი კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე [illegible] სტრიქონი 25 კ. უკანასკნელ გვერდზე 15 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება [illegible] სამგლოვიარო განცხადების [illegible] 2 მან. [illegible] 2 საათის შემდეგ 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება [illegible]. კანტორა ღიაა დილის 9—2 [illegible] საღამოს 5—8 საათამდე, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 76 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 76



8 ივლისს უეცრად გარდაიცვალა

**მიხეილ ნიკოლოზის-ძე**

**ქუთათელაძე**

რასაც ზარდაცემულნი ქვრივი და შვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზედ. გამოსვენება სახლიდან (პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი) საფირჩხიის სასაფლაოზედ 12 ამა ივლისს, ნაშუადღევის 5 საათზედ ძველი დროის ანგარიშით. ცალკე ბარათები არ დარიგდება.

ღრმად მწუხარენი ძენი და ასულნი ბესარიონ, ანდრია, ქრისტინა ლოლუასი, სოფიო ჩხეტიასი, ანასტასია ენუქიძისა და რძლები მარიამი, ნინო და ანნა ხოჭოლავასნი ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ აწ გარდაცვალებულის უსაყვარლესი მამისა მღვდლის

**იოანე ოქროპირის ძის ხოჭოლავასი**

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია ამა ივლისის 16, დღით კვირას, დილით 10 საათზედ ს. ქვალონში.

ელექტრო **„რადიუმ“** თეატრი

საზაფხულო შენობა.

ივლისის 10, 1917 წ. ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი

**გახრწნილება**

რომანოვთა სასახლისა

დრამა 4 ნაწ. დღიურ პროგრამაზე. 1 ნაწ. გრიშკა რასპუტინი ნახულია; 2 ნაწ. გრიშკა რასპუტინი და ალექსანდრა; 3. ნაწ. ნიკოლოზი და ბალერინა; 4. ნაწ. მე მიყვარს ყვავილები.

ელექტრო **„ამპირ“** თეატრი

საზაფხულო შენობა.

ივლისის 10, 11, 12, ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი

**ლინა ექსპერტიზის ქვეშ**

ფარსი 4 ნაწ. მონაწ. ლინა ბაუერისა, ბეიტლერის, ხერუვიმოვის და სხ. განსაკუთრებით მოზდილთათვის.

**ქუთაისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი**

ამით აცხადებს, რომ მის ნება დაურთველათ ქალაქიდან აკრძალულია გატანა შემდეგი საქონლისა: სხვილი ოთხფეხი საქონლისა, შაქრისა, კვერცხისა, პურის ფქვილისა, სიმინდისა, სიმინდის ფქვილისა, ლობიოსი, მუხუდოსი, ქართოფილისა, სხვადასხვა კრუპისა, გამომცხვარი პურისა 10 გირვ. მეტის, ბუბლიკის წვრილისა და მსხვილს, ჩაისა, ძეხვის, ბრინჯის, ფართლეულობისა, ტყავეულობისა და რკინისა.

აღნიშნული საქონლის გატანის ნება მიეცემა კოოპერატოვებს; ხოლო იმ ადვილებში, სადაც კოოპერატიები არ არსებობს, ნება მიეცემა ვაჭრებს (არა უმეტეს ორისა თითო რაიონში).

კოოპერატიების რწმუნებლებს უნდა ექნეს კოოპერატივების მიერ მიცემული საჭირო საქონლის სია, ხოლო ვაჭრებს—აგრეთვე სიები აღგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტისაგან. 3—1


## დღეს:

**წერილები:**


ი. დ—ძე—აჯანყების ნაყოფი.

ია ეკალაძე—რამდენიმე დღე გურიაში.

მ. ბუაჩიძე—ავტოკეფალიის ბედი.


**ცნობები:**


რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. ეროვნული კითხვა. მეურნეობა. უცხოეთი. ახალი ამბავი.


## აჯანყების ნაყოფი.

ივლისის 3-ს პეტროგრადში დაწყებული შინაური მღელვარება, რომელსაც სამოქალაქო ომის სუნი უდიოდა და რევოლუციისთვის საბედისწერო მომენტად წარმოდგა. ოფიციალ ცნობათა მიხედვით საქმე მეამბოხეთა დამარცხებით დასრულდა- ამნაირათ რევოლუცია ერთხელ კიდევ გადაურჩა დამღუპველ პერსპექტივას.

ივლისის 4-ს და 5-ს რუსული პრესა პესიმისტურათ აღნიშნავდა, რომ მეუკიდურესეთა აგიტაციამ გამარჯვება ირგუნა და რუსეთს შავს სუდარაში გახვევას უპირებსო. „ბოლშევიკები“ ადვილათ შეიჭრენ ჯარში, მკვიდრი ნიადაგი გაიჩინეს პეტროგრადის უსაქმურ ბრბოში და თავის მიზნების რეალ განსახორციელებლათ ყოველ დღე ახალ ახალ პოზიციებს იკავებდენ,

ივლისის 5 ს ბოლშევიკების მეოხებით გალიზიანებული ლაშქარი და ხალხი თავრიდის სასახლეს გარს შემოერტყა და დრ. მმართველობის დამხობა მოითხოვა. გაიმართა სისხლის ღვრა და ხოცვა ჟლეტა. გულის ფანცქალით შეჰყურებდენ გადამწყვეტ ამბებს. საბედნიეროთ ეს ანარქიის ალი ჯერჯერობით ჩააქრეს. დრ. მმართველობას ბრძოლის ველიდან მოეშველა ერთგული ჯარი. პირველ შებრძოლებისთანავე ბოლშევიკები დამორჩილდენ და გაქცევ გამოქცევით თავს უშველეს. გამოირკვა, რომ „ბოლშევიკებს“ რუსეთში არსებითი დასაყრდნობი საფუძვლები არ აქვთ.

მათ გარშემო ხშირათ იკრიბება ხალხი, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ ხალხში სხვადასხვა მწვავე კრიზისებისა გამო (სურსათ სანოვაგის ომის გაჭიანურებისა) საერთო უკმაყოფილება შეიქმნა.

ასეთ ინსტინქტით განწყობილი ხალხი გვერდში უდგება „ბოლშევიკებს“ არა იმიტომ, რომ თვითონ იგი ბოლშევიზმის მრწამსის მაღიარებელია. არამედ ბოლშევიკების ქადაგში ხედავს ომის საჩქარო ლიკვიდაციას და მძიმე კრიზისების მოსპობას, რაც მას ძვრე რიგათ ეპირვება რევოლუციური მთავრობა თუ შესძლებს ყველა მძიმე კრიზისების მოგვარებას და თავის გართმევას, მაშინ ბოლშევიკები თავის თავად გაჰქრებიან. რუსეთის რევოლუცია წმინდა ხალხოსნური პოლიტიკური რევოლუცია არის და მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, რომ მისი ხელოვნურათ სოციალისტურ რევოლუციით ქცევა შეუძლებელია.

ბოლშევიკების ცდა—აჯანყებასთან ერთად დაკავშირებულია ერთი მეტად საყურადღებო ცვლილება.

ამას წინათ ჩვენს მკითხველებს უკვე ვაუწყეთ, რომ, დრ. მმართველობის შემადგენლობიდან გავიდენ კადეტი მინისტრები.

უკანასკნელ ცნობათა მიხედვით წასულა აგრეთვე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პრემიერი თ-დი ლვოვი..

პრესა ირწმუნებოდა, რომ ლვოვი კრიტიკულ მომენტში მმართველობის ასპარეზს არ დასტოვებს, მაგრამ ეს მოსაზრება არ გამოდგა ჭეშმარიტი. ლვოვი წავიდა. იმიტომ, რომ ვერ შეუთანხმდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დადგენილებსა.

პირველნი მოითხოვდენ ახლავე რესპუბლიკურ წესწყობილების დამკვიდრებას სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს ოფიციალურ დათხოვნას მიწის კითხვის გადაჭრას და უმაღლეს მმართველობის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს ხელში გადასვლას.

ზომიერი კადეტი ლვოვი ამაში ერთ მხრივ „სამშობლოს დაღუპვას სჭვრეტდა ხოლო მეორე მხრით დამფუძნებელ კრილობის უფლებათა გაბათილებას. ლვოვმა სახელმწიფოს საჭე ხელიდან გაუშვა. პრემიერათ დანიშნულია სოც. ალ. კერენსკი შინაგან საქმეთა მინისტრის პორთფელი გადაეცა ჩვენს თანამემამულეს კაკი წერეთელს.

ამ რიგათ დღეს რევოლუციური მართველობა-რევოლუციის მეთაურობა მთლიანად სოციალისტების ხელში გადავიდა. რევოლუციის გაღრმავების პროცესში კიდევ ახალი ხანა დადგა. რევოლუციურ ძალთა მთლიანობა ელვის სისწრაფით ირღვევა.

დღეს ბურჟუაზია სრულიად ჩამოშორდა რევოლუციურ აქტიურ გზას. რამდენათ ნაყოფიერი და სასურველი იქნება ზომიერ-კადეტ იმპერიალისტების მმართველობიდან გამოსვლა ამას მიმდინარე დრო დაგვანახვებს.

ი. დ—ძე.

## ავტოკეფალიის ბედი.

ძველი რუსეთი არაფერს არ გვაძლევდა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მაინცა და მაინც ბევრს არც განახლებული რუსეთი იძლევა.

ძველი რუსეთის დროს ავტოკეფალობისა და ავტონომიის ხსენება და მასზე სჯა-ბაასი აკრძალული იყო და ახალი რუსეთის დროს მარტო იმას ვხედავთ, რომ ამ სიტყვების ხსენებას ბორკილები აეხსნა და მათზე მსჯელობის საშუალება მოგვეცა მხოლოდ ვისიც გავა, ფენთხიც გავავო, უთქვამს ქართველებს, და ვისიც არა, მისი გავაც არ გავა გავადო.

ქართველებს სწორედ ასე გვემართება. ყველას გვეგონა, რომ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობა დადასტურდა, გვეშველა. ვფიქრობდით ერთს საქმეს მოვრჩით და ეხლა მეორეზე გადავალთო, მაგრამ მწარედ მოტყუებული დავრჩით. გაიგეთ, ქართველებო, რომ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობას ძალზე დამახინჯებული სახით გვაძლევენ მივაქციოთ ყურადღება, თუ რა ოინებს ჩადის „უწმინდესი“ სინოდი. პირველი: ჩვენ კათალიკოზ-პატრიარქს უნდა ეწოდოს სახელად არა კათალიკოზ-პატრიარქი საქართველოისა, არამედ კათალიკოზ-პატრიარქი ქართველთა, რას ნიშნავს ეს, რა სწადიათ აქ, ამ სიტყვების გადაყენება-გადმოყენებაში რუსებსა? რა სწადია და ისა, რომ საქართველოს ხსენება მათ ყოველთვის სძულდათ და ეხლაც ამ გზას ადგიან, უნდათ, რომ საქართველოს ხსენება აღმოფხვრან, ამოგლიჯონ ჩვენი გულიდან და ისტორიას დაავიწყებიონ ეს სახელი. ღვთის მადლით კი განგება სხვანაირად ამზადებს საქმეს. ვინც სხვას უთხრის ორმოს, პირველად ის ჩავარდება იმაში. მეორე: ჩვენმა კათალიკოზ-პატრიარქმა, სინოდის განკარგულებით, მცხეთაში უნდა იცხოვროს და თბილისში რუსის მიტროპოლიტმა უნდა იპარპაშოს. მართალია მცხეთა ჩვენი აკვანია, მაგრამ თბილისი დედაა; ყოველთვის ეს აკვანი თბილისში ირწებოდა და რა უფლება აქვსთ რუსებს, რომ დედასა და შვილს ერთმანეთს აშორებენ? აქაც ისინი ჩვენი გულის ამოგლეჯას ლამობენ. მესამე: ავტოკეფალიას ნაციონალურს იმეტებენ ძლივს ძლივობით და არა ტერიტორიულს. ზოგიერთ მეზობლებს ყოველთვის სძულს და ეჯავრება თავის მეზობლის ორმაგი ღობით შეზღუდული ვენახ-გარემო. ასეთი ღობე მის მტაცებლობას ხელს უშლის. და როგორ არ ეწყინება, აბა თქვენ წარმოიდგინეთ! „უწმინდესი“ სინოდისათვის ჩვენი ეკლ. ტერიტორიის შემოფარგვლა ხელსაყრელი არ არის. მან კარგათ იცის, რომ ჩვენი ეკლესიის შემოზღუდულ გალავანში ადვილად ვერ შემოხტება და ზოგიერთ გამცემელ იუდა ქართველ მღვდელს თავის ოქროების მეოხებით ვერ გაიტაცებს, რაც ადვილად მოსახერხებელი იქნება რუსეთის სინოდისთვის ნაციონალურ ავტოკეფალიის დროს. გარდა ამისა რუსებმა ძრიელ კარგად იციან, რომ ტერიტორიული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა საფუძველია საქართველოს ტერიტორიულ ავტონომიისა და, თუ პირველი აღიარეს, რა გზა აქვსთ, რომ მეორეც არ აღიარონ და არ მოგვცენ. აი ამიტომ ქინიანობენ და არ იძლევიან ჩვენი ეკლესიის სრულ უფლებიან თავისუფლებას. ქართველებას ამ შემთხვევაში დიდი დაფიქრება გვმართებს. არამც და არამც ქართველი ერი ნაციონალურ ექსტერიტორიულ ავტოკეფალიას არ უნდა დათანხმდეს, მე ამით იმას არ ვამბობ, რომ ჯერ-ჯერობით რასაც გვაძლევენ, იმას ხელი არ უნდა მოვკიდოთ მეთქი. მაგრამ ნუ თუ იმდენი უნარი, შნო და ძალა არ შეგვწევს, რომ რაც კანონით გვერგება, ის მოვითხოვოთ და უსათუოდ უნდა დავთანხმდეთ „ნაწყალობევს“ ნასუფრალს! იმდენი მოქალაქობრივი გამბედაობა მაინც გამოვიჩინოთ, რომ ნასუფრალის გულისათვის ხელფეხს ნუ შევიკრავთ, რომ მარჯვე დროს ჩვენი კანონიერი უფლების მოთხოვნის არ შეგვრცხვეს. ტერიტორიული ავტოკეფალია და ტერიტორიული ავტონომია, ისიც ისტორიული, აი საითკენ უნდა იყოს ჩვენი მისწრაფება და აი რა უნდა შეადგენდეს ჩვენს სადღეისო იდეალს.

მ. ბუაჩიძე.

## რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

**დეპეშები.**

თ. ლვოვის მიმართვა დროებით მთავრობისადმი.

**პეტროგრადი.** ივლისის 8. უკიდურეს სოციალისტთა მიერ მოხდენილ აჯანყების იარაღით ჩაქრობის შემდეგ, დროებით მთავრობამ სოციალისტ-მინისტრების მიერ წარმოდგენილი მომავალ მოქმედების პროგრამა მიიღო; მხოლოდ იმ ნაწილებს ვიზიარებ ამ პროგრამისას რომლებშიაც გამეორებულია დრ. მთავრობის მიერ წინადვე გამოქვეყნებული დებულებანი. მთლიანად კი პროგრამას არ ვიზიარებ, რადგანაც იგი ამცდარია უპარტიო მიმართულებას და წმინდა პარტიულ სოციალისტურ მიზნების მიღწევისაკენ იხრება, განსაკუთრებით იმ მუხლებს, რომელთაც განხილვის დროს მუდამ ვეწინააღმდეგებოდი. ასეთი არის მუხლი რუსეთში დაუყოვნებლივ რესპუბლიკურ მმართველობის შემოღების შესახებ. რაც დამფუძნებელ კრებას უმაღლეს უფლებათა მითვისება ექნებოდა. ასეთივე მიწის კითხვის გადაწყვეტა. მასზე დასტურის დაცემით მე ვულალატებდი ჩემს ფიცს. შემდეგ სათათბიროს დათხოვნა. ამას მოსდევს რიგი მეორე ხარისხოვანი პუნქტებისა რომელთაც მართალია მეორე მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ მაინც დემაგოგიურის მიზნით აქვეყნებენ, რომ ხალხის წვრილმანი თავმოყვარეობა დააკმაყოფილონ. თუმცა მე მომხრე ვარ, რომ მიწა მიწის მუშას გადაეცეს, მაგრამ მაინც შეუფერებლად მიმაჩნია მიწათ მოქმედების მინისტრის მიერ დროებით მთავრობისადმი დასადასტურებლად წარდგენილი მიწის კანონ პროექტები. არსებითად დრ. მთავრობის დეკლარაციის პოლიტიკა შეცვლილია. მაისის 6. მთავრობამ დაადგინა: მიწათ მფლობელობა მოეწყოს სახალხო მეურნეობისა და გლეხთა ინტერესების მიხედვით. ჩემი აზრით ეხლა მიწათ მოქმ. სამინისტრო ამ აზრს სცილდება და ცხოვრებაში გაჰყავს ისეთი კანონები, რომელიც აუძლურებს სახალხო მეურნეობას.

იგი არა თუ არ ებრძვის მტაცებლობით ლტოლვილებს, პირიქით თავნებობით დაპყრობას განამტკიცებენ და სანაქებოდაც მიაჩნიათ ეს დამღუპველი გზა. მე იმ კანონებში პარტიულ პროგრამის განხორციელებას ვხედავ და არა მგონია, რომ ისინი საერთო სახელმწიფო საქმეს რაიმე სარგებლობას მოუტანდნენ. მე მიწადმოქმედების სამინისტროს პროგრამა რუსეთისათვის დამღუპველად მიმაჩნია, რადგან იგი რუსეთს, როგორც მორალურად, ისე მატერიალურად აოხრებს. მე ძალიან მეშინიან, რომ მან რუსეთში კვლავ ის არ წარმოშვას, რასაც დროებითი მთავრობა პეტროგრადში ებრძოდა ამ დღეებში. დასასრულ არ შემიძლიან არ მოგაგონოთ ის, რომ მკათათვის 4 მინისტრ-სოციალისტების მონაწილეობით

დროებით მთავრობამ მუშ. ჯ. და გლეხ. დეპ. საბჭოების დადგენილება მიიღო ამ დადგენილებით კი დროებითმა მთავრობამ ამ დეპუტატთა ყრილობების გარდაწყვეტილებით უნდა იხელმძღვანელოს. ასეთი უთანხმოება ჩემსა და დროებით მთავრობის უმრავლესობის შორის ამ უკანასკნელ დღეებში უფრო გამწვავდა. მათ ხშირად განუცხადებიათ ჩემთვის, რომ დროებით მთავრობაში შენი თავმჯდომარეობა შეუძლებელიაო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ უკანასკნელ დღეებამდის ჩემს წმიდა მოვალეობად ვთვლიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ დროებით მთავრობის ერთსულოვნების განმტკიცებას. ეხლა, ვინაიდან ძალიან დავშორდით მთავრობის წინაშე მდგომ ამოცანათა შეგნებაში, ვინიადან სამშობლოს წმიდა ვალი ნებას არ მაძლევს, რომ მთავრობისაგან მიღებულ პროგრამის ცხოვრებაში გასატარებლად ვიზრუნო. მე დროებით მთავრობის შემადგენლობას თავს ვანებებ და მინისტრთა თავმჯდომარის და შინაგან საქმეთ მინისტრის მოვალეობას ვიხსნი **თავადი ლვოვი.**

ლვოვის თანამდებობიდან გადადგომა.

პეტროგრადი, ივლისის 7. მინისტრ-თავმჯდომარე ლვოვმა თანამდებობიდან გასვლის შესახებ შემდეგი განაცხადა: ახლა მე იმდენი უფლება არა მაქვს დაწვრილებით მოგითხროთ, თუ რამ მაიძულა თავი დამენებებინა ჩემის თანამდებობისათვის. როდესაც მორჩება მმართველობითი კრიზისი, მაშინ შეიძლება ვრცლად შევეხოთ მას, ყოველ შემთხვევაში ჩემს ხელთ არის საქმის ხელმძღვანელობა, სანამ მემკვიდრეს დამინიშნავდნენ, რომელსაც ჩემს შემდგომ ჩემს საქმეებს აწარმოებს. ეს, რასაკვირველია ერთი ანუ ორი დღის საკითხია. სარწმუნო წყაროები კი ლვოვის წასვლის შესახებ შემდეგს ამბობენ. ხალხის თავისუფლების პარტიის მინისტრთა გამოსვლამ დაარღვია ძალთა ურთი-ერთობა დროებით მთავრობაში. მყისვე წამოყენებულ იქმნა საკითხი, თუ რა საფუძველზე უნდა მოხდეს დროებითი მთავრობის შევსება.

თავად ლვოვმა განაცხადა, რომ დარჩება მთავრობის მეთაურად, თუ იგი გარდიქმნება კოალიციის პრინციპზედ. დროებით მთავრობის მიერ წაყენებულ პროგრამის საფუძველზედ.

პროგრამის ძირითად პუნქტებად მოითხოვს მკაცრ ბრძოლას ანარქისტების და ბოლშევიკების ძალებთან, ადგილ მამულის, ნათესაობის და ქარხნების ინვენტარის მტაცებლებთან, დამფუძნებელ ყრილობისთვის სამზადისს და ძირითად საკითხების გარდაწყვეტას დამფუძნებელ ყრილობამდე. დროებით მთავრობის წინააღმდეგ გამოვიდა პეტროგრადელ ჯარისკაცთა ნაწილი, ამხედრებულებმა იარაღსაც მიმართეს. ლვოვის წინადადებით გამოწვეულ იქმნა ჯარები, როგორც პეტროგრადის გარეშემო ადგილებიდან, ისე ბრძოლის ველიდან. მინისტრთა ნაწილი შეუერთდა მთავრობის გადაწყვეტილებას. მაგრამ მინისტრი—სოციალისტები წინაღუდგნენ მთავრობის წევრთ რომელნიც სასტიკად მოითხოვდენ ბოლშევიკების აგიტაციის დადუმებას მათი ლიდერების დაპატიმრებას უდოკუმენტოდაც. გამოითქვა აზრიც, რომ ბოლშევიკები სოციალ-დემოკრატიის ერთად-ერთი მიმდინარეობის წარმომადგენლები არიან და უნდა გაატარონ კიდეც ცხოვრებაში თავისი იდეები. საბჭოებმა განკარგულება მოახდინეს, რომლითაც იცავდნენ ბოლშევიკებს და ლენინს.

პეტროგრადში სამხედრო მინისტრის მოსვლის წინედ გადაწყვეტილ იქმნა ბოლშევიკების მოსპობა. საბჭოებმაც გადასწყვიტეს ყოველი ღონე მიიღონ მათს საწინააღმდეგოდ, გარდა იმ პირობით, რომ მთავრობასაც აღეარებინა თვისი მოქმედების პროგრამა, რომელშიაც უნდა აღნიშნულიყო: რესპუბლიკანური მართვა-გამგეობა, სახელმწიფო სათათბიროს გაუქმება და ჩერნოვის მიერ შემუშავებულ კანონპროექტის გაყვანა საადგილ-მამულო საკითხებში. თ. ლვოვმა ეს პუნქტები არ მიიღო. რესპუბლიკანურ მართვა-გამგეობის გამოცხადება, ლვოვის აზრით წინააღმდეგი იქნებოდა იმისა, რაც შეჰფიცეს დრ. მთავრობას, რომლის თანახმად უნდა მოეწვიათ დამფუძნებელი ყრილობა, ახალ სახელმწიფოებრივი წესწყობილების დასამყარებლად. ყოვლად შეუძლებელია აგრეთვე სახელმწიფო სათათბიროს გაუქმებაც. რაც შეეხება აგრარულ კანონ-პროექტების განხორციელებას—ეს საერთო მტაცებლობისკენ და ანარქიისკენ წაგვიყვანს. სერიოზული უთანხმოებანი მოხდა თ. ლვოვისა და დრ. მთავრობის შორის გამოწვეულ საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტების დადგენილებით, რომლითაც მთავრობას უნდა ეხელმძღვანელა საბჭოთა გადაწყვეტილებით. მორიგება შეუძლებელი გახდა და... ლვოვმა თავი დაანება როგორც მინისტრ-თავმჯდომარეობას, ისე შინა საქმეთა მინისტრობას მინისტრ-თავმჯდომარედ მანენ დაასახელა კერენსკი, რომელსაც სამხედრო მინისტრის პორტფელიც შერჩება.

დროებითი მთავრობის დეკლარაცია.

პეტროგრადი. ივლისის 8. მოქალაქენო! დაგვიდგა საზარი წუთი! გერმანელ იმპერატორის ლაშქარმა რუსეთის რევოლუციურ ლაშქრის ასპარეზი გაარღვია. ბრმა ფანატიზმი, და ღალატი ჰღუპავს რუსეთს! ახლა, როდესაც სამოქმედო შემთხვევა ეძლევათ ნაძირალებს—დროებით მთავრობა დიდს პასუხისმგებლობაში ჩავარდა. მაგრამ მასვე სწამს ძალა რუსეთის დიდებულ ერისა. დროებით მთავრობას სჯერა, რომ რუსეთი თავს დააღწევს ამ საშინელს ავადმყოფობას. მის გამო დრ. მთავრობა ჰმოქმედებს ყოველივე ენერგიით და ძალთა შეკრებით. სახელმწიფოებრივის წესწყობილების დასაცავად და ანარქიასთან საბრძოლველად. რუსის ჯარი იბრძოლებს იმ მიზნით, რომ არც ერთი წვეთი სისხლისა არ დაიღვრება ამაოდ და რუსეთის დემოკრატიის მიზანთა გარეშე. ამისთვის დრ. მთავრობა მარიამობისთვის განმავლობაში იწვევს მოკავშირთა კონფერენციას, მათი გარეშე პოლიტიკის მიმართულების შესამუშავებლად. დროებითი მთავრობა ყოველივე ძალას იხმარს საქმეთა მოსაწესრიგებლად. ამისთვის იგი ეცდება დამფუძნებელ ყრილობის არჩევნები უსათუოდ ენკენისთვის 17-ს მოხდეს. რათა მოსამზადებელი ზომები დროზედ დასრულდეს. არჩევნების წესრიგის თავისუფლების უზრუნველსაყოფად სამოქალაქო და საერობო თვითმართველობის შემოღება სწორე და ფარულ კენჭის ყრის საფუძველზედ- ეს არის უპირველესი მიზანი დროებით მთავრობის საშინაო პოლიტიკისა. იგი დიდს მნიშვნელობას აძლევს მოქალაქობრივ თანასწორობას, ადგილობრივ ძალთა ორგანოების დაარსებას და სხ. ამისთვის იგი აუქმებს წოდებრიობას, სწორედ ისევე, როგორც მოსპო სამოქალაქო ჩინები და ორდენები—სამხედრო ჯილდოს გარდა. სამეურნეო ცხოვრების უზრუნველსაყოფად ეკონომიური საბჭო და ეკონომიური კომიტეტი იმუშავებენ შესაფერ კანონპროექტებს შრომის პოლიტიკაში შემუშავებულია და ამ დღეებში გამოქვეყნდება თავისუფლება კოალიციისა შრომის ბირჟისა, შემარიგებელ კამერებისა; რვა საათის სამუშაო დღის შემოღება. შრომის ყოველმხრივი დაცვა და ყოველგვარ სოციალური დაზღვევის შემოღება რაც საადგილ მამულო საკითხს შეეხება, მთავრობა დარწმუნებულია, რომ მიწა მუშათა ხელში უნდა გადავიდეს. ამისთვის შესაფერი პროექტი მუშავდება. დრ. მთავრობის მორიგი ზომებია: ა) სრული ლიკვიდაცია ძველებურ სამიწადმომწყობო პოლიტიკისა, რომელიც ულმობელად არღვევს სოფელს. ბ) ზომები, რომელნიც უზრუნველჰყოფს დამფუძნებელ ყრილობის თავისუფლებას საადგილ მამულო საქმეთა მოწესრიგებაში. გ) სამიწადმოქმედო დამოკიდებულებათა ინტერესების უზრუნველყოფა სახელმწიფოებრივ თავდაცვის ინტერესებში. დ) ყოველგვარ თავნებობის და მტაცებლობის აღკრძალვა მიწის საქმეში. როგორც სჩანს გასაკეთებელი საქმე ბევრია. დროებითი მთავრობა უძლური იქნება თუ არ მოგვეშველებით თქვენი ძალით, თქვენი ქონებით და სიცოცხლით. საჭიროა მეტი თავდადება და ენერგია. ჩვენი მკერდით დავიფაროთ ის მხარე რომელიც თავის მცხოვრებთათვის აღარ არის მკაცრი დედინაცვალი და აერთიანებს ყველას სრული თავისუფლების და თანასწორობის ხაფუძველზედ.

მკათათვის 8, 1917 წ.

რეიხსტაგი ზავის შესახებ.

სტოკჰოლმი. მკათათვის 7. ვოლფის სააგენტო იუწყება: კანცლერის სიტყვის შემდეგ ცენტრის, სახალხო პროგრესის პარტიის და სოციალ-დემოკრატების სახელით ფერენბახმა ომის მიზნის შესახებ შემდეგი რეზოლიუცია წამოაყენა: დაე, ბოროტ ხმებმა ჩვენს განცხადებაში ჩვენი სისუსტის ნიშნები აღნიშნონ, მაგრამ ჩვენ დავუმტკიცებთ, რომ გამარჯვების მოპოვება შეგვიძლიან. ომის მეოთხე წლის პირველ დღეებშივე შემდეგმა საკითხმა წამოყო თავი: გასტანს თუ არა ომი ამ წელსაც? სამხედრო მდგომარეობა გვაიძულებს ზავზე თანხმობა განვაცხადოთ. ხალხის წმინდა ნების ყოფაც ზავს მოითხოვს. თუ ჩვენსკენ გამოწვდილ ხელს ჩვენი ხელიც არ შეეგება, მაშინ დავამტკიცებთ, რომ გერმანეთი უძლეველი არ არის. იმპერატორმა თავის შინაგანი პოლიტიკა ხალხის სურვილებს შეუკავშირა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ პრუსიაში საარჩევნო უფლების საკითხი მალე უბრძოლველად გადასწყდება და ახალი კანცლერი ყოველ ღონისძიებას იხმარს ყველა ერების შესარიგებლად. შეიდემანმა განაცხადა, რომ მისი პარტია იმპერიის კანცლერს ებრძვის, თუმცა უთანხმოება ჩვენს შორის პრინციპიალურიაო. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ომისა, რადგან იგი გერმანეთისთვის საზარალოა და არა სასარგებლო. როგორც ჩვენ, ისე მტერი, მშვიდობას ომით ვერ მოიპოვებს. უკვე სამი წელიწადია, რაც ჩვენ მტრის წინააღმდეგ ვიბრძვით (თუმცა მათ პოზიციებზე კი), მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ დავამარცხეთ. ჩვენ სხვების მიწა-წყლის დასაჭერად არ ვიბრძვით, ჩვენ სწორი, საერთაშორისო უფლებით უზრუნველყოფილი, ზავი გვსურს. თუ მტერი ასეთ ზავზე უარს განაცხადებს, მაშინ კი ბრძოლას განვაგრძელებთ. საარჩევნო უფლების შეცვლის კანონ-პროექტი პრუსიაში შემოტანილ უნდა იქმნას შემოდგომით. კანცლერმა ბიუროკრატიზმს სამკლასიან არჩევნების სისტემისაგან უნდა განთავისუფლოს. დასასრულ პროგრესისტები საგაზეთო ცენზურის გაუქმებას და პოლიტიკურთა (?) განთავისუფლებას მოითხოვდა. გრაფმა ვერსტალმა იმედი გამოსთქვა იმის შესახებ, რომ კანცლერი ხალხის ძალას გააერთიანებს. მან განაცხადა- ის განცხადება, რომ ჩვენ საზავოდ მზად ვართ, ჩვენ სინანულს უნდა გვგვრიდეს, ვინაიდან ჩვენ რომ გერმანეთის მომავალს ვსწყვეტთ, ამასთან უპატიოსნოდ ვეპყრობით მათ, ვინც გერმანეთის მომავლისათვის სისხლი ღვარა. ზავის საკითხი რევოლიუციით არ გადასწყდება. იგი სხვა გზით უნდა გადასწყდეს. აღმოსავლეთ პრუსიას რუსეთის შემოტევისა არ უნდა ეშინოდეს. ნაციონალ ლიბერალმა შენაის-კარლატმა განაცხადა: ჩვენ სრულიად უარვყოფთ წამოყენებულ რეზოლიუციას და 1914 წ. მარიამობისთვის 4-ს ტახტიდან წარმოთქმულ სიტყვას ვუერთდებითო. ვარტუმმა განაცხადა, რომ მისი ფრაქცია რეზოლიუციას უარჰყოფს, რადგან მას შეუძლიან გერმანეთი შეცდომაში შეიყვანოსო. ჰაზე ხალხის თვითგამორკვევის ნიადაგზე დამყარებულ ზავსა და სოციალისტურ რესპუბლიკას მოითხოვდა. დასასრულ პირველ წაკითხვაზე სამხედრო სესხის კანონპროექტს, გარდა დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატებისა, ყველამ მისცა ხმა. ზავის რეზოლიუცია მიიღო 214 მომხრემ 116 წინააღმდეგი.

ჯარზე თავდასხმა პეტროგრადში.

პეტროგრადი. 7 ივლისს დღის ორ საათზე ფრონტიდან მოსულ ჯარს ნიკოლაევის რკინის გზის სადგურის ახლოს ტყვიისმფრქვეველები და თოფები დაუშინეს. ვიღაც უცნობმა პირებმა ტრამვაის ერთ ვაგონის სახურავზე ტყვიის მფრქვეველი დადგეს და ჯარს დაუშინეს, თანაც თოფებს ისროდენ. სროლა ასტეხეს აგრეთვე ლიგოვკაზე, პოლტავის, გონჩარნი და კორნნის ქუჩებზე · შტაბიდან მოსულმა რაზმმა ფრონტიდან მოსულ ჯარისკაცებთან ერთად გაჩხრიკეს სახლები. ნევის პროსპექტზე სახლი № 156 ჯარისკაცებმა იპოვეს ტყვიის მფრქვეველი. იქვე იყო მეზღვაური და მუშის ტანისამოსში გამოწყობილი უცნობი. იმათ დაინახეს თუ არა ჯარის-კაცები,

# რამდენიმე დღე გურიაში.

(დასასრული პირველი განცდისა. იხ. „ჩვ. ქვ“. № 69).

— ტპრუ! სტოი!

ცხენებმა უკან დაიხიეს, ეტლი შეჩერდა, მეეტლე კოფოდან ჩამოხტა და ხელების ფშვნეტა დაიწყო.

— მოვედით... აბა, ფულები!.. ყრუდ გვითხრა მან და ჩამოგვათვალიერა.

დაბაში ძალზე ბნელოდა. აქა იქ დადგმული ფარნები საცოდავად ბჟუტავდენ და ღამის წყვდიადს უფრო აშავბნელებდენ...

იქვე, ხრამიდან, მოისმოდა გამაყრუებელი ყიყინი უთვალავი ბაყაყისა და ხმა იგი გლოვის ზარივით ედებოდა არე-მარესა.

გულმა კვნესა დამიწყო. უსიამოვნოდ შევიქენ...

— შეიძლება კაცმა ღამე გაათენოს სადმე? დავეკითხე მეეტლეს, როცა იგი ფარნის ძირში მიდგა და ჩემგან გადაცემულ ფულებს თვლა დაიწყო...

— ცოტაა, ბატონო... ათი შაური კიდევ მერგება...

— შეიძლება მეთქი ბინის შოვნა თუ არა? — კვლავ დავეკითხე.

— ჩემი ათიშაური მიბოძეთ!..

— ათ შაურს კი არა, თუგინდა მანათს მოგცემ კიდევ... ოღონც ბინა მიშოვე სადმე... ბინა! გაჯავრებით შეუტიე და მანათიანი გაუწოდე.

— ბინა?—თითქოს ახლა გაიგონა მეეტლემ რავა არა, აი დუქანში იშოვი ნომერს.

— ნომერს, თვარა ბევრსაც კი ისიამოვნებს... შენოდენა კედლიტილებია შიდ!.. გლახები ვართ... ფულის აღება გვიყვარს მაგრამ სისუფთავისა კი არა გვესმის-რა-გამოელაპარაკა ვიღაც და მერე მე მომმართა: წამობძანდით ჩემსას, — უცხო კაცი ყოფილხართ... მოგასვენებთ!

იგი აღმოჩნდა ჩვენივე თანამგზავრი, მეშვილი, რომელიც მთელი გზა კოფოზე იჯდა და დროგამოშვებით გადმოგვხედავდა ხოლმე.

შუახნისა იყო, ჭაღაროსანი, ვაჭარი.

— მართალია სახლში ბაღნების მეტი არავინა მყავს... ჩემი სახლობა წყალტუბოსაა წასული... ავადმყოფობს, მაგრამ რავარც იქნება ერთ ღამეს მოგისვენებთ... სტუმარი ღვთისაა—უფრო ლმობიერად მითხრა მან და გვერდზე მომიდგა...

მეძნელებოდა უცხო კაცის შეწუხება, მაგრამ ისეთი ჰუჭყიანი იყო ის დუქანი, სადაც იმ ღამეს უნდა დავრჩენილიყავ, რომ ძალაუნებურად დავეთანხმე ამ კეთილ ადამიანს, ავიღე ჩემი ბარგი და ხმაამოუღებლივ გავყე.

დიდხანს მივდიოდით ორივე გაჩუმებულნი. გავცდით ბოგირს, შევუხვიეთ დაბურულ ორღობეს და შევედით ერთ ფართე ეზოში.

ძაღლებმა ყეფა ასტეხეს... ვიღაცა გამოგვეხმაურა.

— მე ვარ... სანთელი აანთეთ! უთხრა სახლის პატრონმა და მერე მე მომიბრუნდა.

— აქეთ მობრძანდით... მანდეთ ცოტა ტალახია...

ნახევარ საათის შემდეგ ჩვენ შემოვსხდომოდით გაღიზლიზებულ ლამფას და გულიანად შევექცეოდით სახელდახელოთ მომზადებულ ვახშამს...

— - —

ცხელცხელი მჭადები, ახალი ყველი, ფხალი— ეკალა, შამფურზე შემწვარი წიწილები ტყემლით და „ადესაის“ ღვინო ისეთი დიდებული გახლდათ, რომ თავის დღეში ხემწიფეც ვერ ელირსებოდა ასეთს გემრიელ ვახშამს...

— ძაან აბდალი არა ყოფილა ი ვეზდურის შვილი?! ღიმილით მომმართა მასპინძელმა თითქოს იმასაც ჩვენი ვახშამი ხელმწიფის ვახშამისთვის შეედარებიოს —ვინა?

ჩემი მასპინძელი ერთხანს შეყოყმანდა და მერე დაბალის ხმით მითხრა:

— ვინა და აი ვინცხა ხემწიფე გვყავდა... მაინც ქე დაექცა ოჯახი. —რაიზა აწვალებდა ხალხს... რაიზა აწუხებდა ქვეყანას? ყოფილიყო ჰკუიანად და ეჭამა გემრიელი ლუკმა პური... მარა კაცი რო უტვინო იქნება, ესაა!.. ი ვინცხა რასპუტინი ყოფილა, სწორებით იმან მოსტეხა კისერი... მე არაფერი მაკვირვებს რა: საიდან მოხთა იგი ყაზილარი სასახლეში! დიდობა შენთვის ღმერთო... ერთხელ კიდევ გაიკვირვა ჩემმა მასპინძელმა და პირჯვარი გადაიწერა...

მე შეძლებისა დაგვარად მდაბიურადა და გაკვრით ავუხსენი რუსეთის სახელმწიფოებრივი მდგომარეობა, ავუხსენი მიზეზები და შესაძლებელი შედეგი დღევანდელ არეულობისა, რევოლიუციისა, განვუმარტე კერძოდ საქართველოს ყოფნა ძველად თუ ახლა, ჩამოვსთვალე ჩვენში არსებული აზრთა სხვა და სხვაობა ჩვენი ქვეყნის მომავლის შესახებ და ჩემის მხრივ დავეკითხე: რომელ პარტიას ეკუთვნი მეთქი...

— ჩვიან, ყველაზე კარგი პარტია „პოლეტარების“ პარტიააო და მეც იქინეი ჩავეწერე.

— შენ ხომ ვაჭარი ხარ... კერძო მესაკუთრე... ბურჟუა... რა გაქვს საერთო ამ პარტიასთან?

— ღმერთმა დასწყევლოს ბურჯუა...მე ბურჯუა რათ ვიქნები?—იწყინა მასპინძელმა--თურმე ბურჯუებმა დაღუპეს მთელი ქვეყანა! მე კი გურული ვარ, ოჯახიშვილი, ღმერთმა ერთი დღეც ნუ მაცოცხლოს უქვეყნოდ, უმეზობლოდ... საცა მთელი ქვეყანაა, მეც იქანა მინდა ვიყო, საცა ჩემი მეზობლები არიან, მეც იმათთან მინდა მოვკვდე... რა ვუყო რო ვაქარი ვარ... ყველას ხომ თოხი ვერ აცხოვრებს: ზოგი ვაჭრობს, ზოგი თოხნის. ზოგი ჩალვადრობს, ზოგი ნასწავლია და ისე სჭამს ლუკმა პურს... ღმერთმა დასწყევლოს არამი ლუკმა!.. გაცხარებით დააბოლოვა ჩემმა მასპინძელმა და ქვეყნის მოკეთეთა სადღეგრძელო დალია...

კარგი ხანს ვიბაასეთ მე და ჩემმა გულუხვმა მასპინძელმა და გამოირკვა, რომ მას პარტიებისა არა სცოდნია რა, არც დაწვრილებით გაუგონია რამე. იგი აღმოჩნდა ჩვეულებრივი თავმოყვარე (და თუ გნებავთ თვითმოყვარე) ქართველი კაცი—პირველ ყოვლისა გურული, ამაყი და გულზვიადი თუ მის კერძო საკუთრებას შეეხება ვინმე, ხოლო ლმობიერი და სტუმრათ მოყვარე, თუ კი კაცად ჩააგდებთ თვითონ მას. სხვისა არა უნდარა და არც თავისას დაუთმობს ვისმე...ცხოვრება ვაჭკაცობისათვის სწყურია და სიცოცხლე—ღირსეული მომავლის შესაქმნელად. იგი პიროვნებაა შესმენილი, შეგნებული, არ უნდა არც ბატონობა, არც მონობა, არა სწამს მუქთა ხორობა და არც მოსწონს სხვის თავხედობა... ცოტა განათლება აკლია და, აი, დღეს მზად არის თავი შესწიროს თავის შვილების განათლებას!... სოციალიზმსა არა ესმის რა და ვერც გაიგებს მას იმ სახით, რა სახითაც უქადაგებენ...

-- გაუმარჯოს ჩვენ პატარა გურიას, გაუმარჯოს ხალხს! დაამთავრა ჩემმა მასპინძელმა თვისი სადღეგრძელოები,წამოდგა, ხელის დასაბანად წყალი შემომთავაზა და იქვე კუთხეში მდგომ ტახტზე გაშლილ სუფთა ლოგინზე მიმითითა:

— აი აქ მოისვენეთ... ღამე შვიდობით...

ღიმილით მითხრა, ლამპარს ჩაუწია და მეორე ოთახში გავიდა.

— —

„ფიქრი, ფიქრი და სულ ფიქრი
სევდიანები, შავები!
მწარე ფიქრების უღელში,
თავი გავყავ და გავები,
ვერც წინ წავსულვარ, ვერც უკან,
ოთხ კედელ შუა დავები!!...

გამახსენდა ერთი დაჩაგრული ქართველი მგოსნის სიტყვები, როცა ფეხის ხმა მისწყდა და ნახევრად ჩაბნელებული ოთახი სიჩუმემ მოიცვა.

ვიწექ გულ აღმა, თავქვეშ ხელებ ამოდებული და ათას გვარი ფიქრები თავს დამტრიალებდა, — ძილს მიფრთხობდა...

პირველი ფიქრი ჩემი შეეხო ჩემს მასპინძელს... ქართველი კაცის ხასიათს.

— არ მიცნობდა, არ ვიცნობდი... შემხვდა, წამომიყვანა... ხარჯი გასწია... რათა, რისთვის? რა ემართა ჩემი?

— არაფერი! ღმერთს დოვლათი მოუცია და ეტყობა არავისთვის არაფერი არა შურს! თითქოს მიპასუხებდა ჩაწეულ ლამპრის პატრუქის პარპარი.

— ყველა ხომ ასე არ მოიქცეოდა... ხასიათია... ჩვეულება... წეღან მეეტლემ ათი შაური მეტი წამართვა, ესკი?..

— კაცია და გუნება... შევნება...ადამიანობა... პირველი ადამიანობაა! ბიბინებდა ლამპრის პატრუქი, ხან ასწევდა ალს, ხან დასწევდა და ამის მიხედვით ოთახის კედლებსა და ჭერს ხან სინათლის სვეტები მიადგებოდა ხოლმე, ხან კი სვეტები იგი იბნეოდა იატაკზე და მთელ ოთახს საზღაპრო ელფერს აძლევდა.

ფიქრი ჩემიც ათასგვარად იქარგებოდა, იწვნებოდა, ყურთმაჯდებოდა, უცხო პირობებში, უცხო სახლში ჩვეულებრივი საკითხები, წყეული, მქენჯნავი საკითხები ონავრებივით დამხვეოდენ, ძილს მიკრთობდენ, გადაწყვეტას მთხოვდენ...

— რა არის კაცი... ადამიანი?...

— ორფეხა ცხოველი, ყველა ცხოველებზე უსაშინელესი.

— არა! კაცი, ადამიანი—რაკი იგი გამოვიდა პირუტყვის მდგომარეობიდან—

თოფები დაუმიზნეს ამის დანახვაზე ისე გაბრაზდენ ჯარისკაცები, რომ მივარდენ ნაფლეთ-ნაფლეთ დაჰგლიჯეს. სროლის გამო მოხდა დატუსაღება, წაართვეს ტყვიისმფრქვეველები, თოფები და ყუმბარები.

ვინ აუტეხა სროლა ფრონტიდან მოსულ ჯარს.

პეტროგრადი. გამოირკვა, რომ გუშინ ფრონტიდან მოსულ ჯარზე თავდასხმა წინდაწინ მომზადებული იყო. ზნამენსკის მოედანზე სროლა მით აიხსნება, რომ ჯარი ვიღაც უცნობმა აფიცრის ტანისამოსში გამოწყობილმა ყალბი გზით წაიყვანა, მან თავის თავს პორუჩიკი მაზურენკო უწოდა. ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ ის მართლა აფიცერი იყო და გაჰყვენ იმ ქუჩით, სადაც ჩასაფრებული იყვენ.

რევოლუციურ მთავრობის დიქტატურა.

გერმანელებმა გენ. კორნილოვის ფრონტი გაარღვია: ამის გამო მუშ. და ჯარ. დეპ. ცენტრალ კომიტეტს დღეს, მკათათვის 10, მთელი დღე ბჭობა ჰქონდა. ბჭობამ დაადგინა, რომ ვინაიდან, ჩვენი მარცხი უმეტესად მავნე აგიტაციით აიხსნება რევოლუციონურ მთავრობის დიქტატურის შექმნაა საჭირო.

კადეტ-მინისტრების გადადგომა.

პეტროგრადი. ივლისის 8. თანახმად შუამდგომლობისა ივლისის 4-ს დროებითმა მთავრობამ თანამდებობიდან დაითხოვა: მინისტრ-პრეზიდენტი თ-დი ლვოვი, ფინანსებისა — შინგარევი, გზათა მიმოსვლის — ნეკრასოვი, სწავლა-განათლების — მანუილოვი, სახელმწიფო მზრუნველობის თ-დი შახოვსკოი. პირველ მინისტრად დაინიშნა ა. ფ. კერენსკი, ისვეა სამხედრო და საზღვაო მინისტრი. იუსტიციის მინისტრი პერევერზევი ივლისის 6 გადადგა. ნეკრასოვი მთავრობის უპორტფელო წევრად დაინიშნა ივლისის 4-დან და პირველ მინისტრის კერენსკის მოადგილედ. დროებითი მთავრობის საეკონომიო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ პროკოპოვიჩი დაინიშნა.

რუსის ჯარის სრული დეზორგანიზაცია.

პეტროგრადი. ივლისის 9. სამხრ.-დას. ასპარეზიდან. მე 11 არმიის კომიტეტისა და კომისარისაგან სამხ. მინისტრს, დრ. მთავრობას, დეპ. საბჭოების ალმ. კომიტეტსა და უმაღ. მთავარ სარდალს: ივლისს 6. დაწყებული გერმანელთა შემოტევა ვითარდება ჩვენი ჯარი ერთიანად გამორბის, რაც რევ. რუსეთისათვის დამღუპველია. იმ ნაწილებში, რომლებიც უმცირესობის ცდით ბრძოლაში გავიდნენ, დღეს სულიერი განწყობილება საუბედუროთ შეიცვალა. ალმაფრენამ სულიერ გახრწნილებას დაუთმო ადგილი. უფროსუმცროსობაზე ლაპარაკიც მეტია.

სიტყვით მიმართვა, დაჯერება და დარწმუნება შეუძლებელია. ზოგი სამხედრო ნაწილი მტრის მოახლოვებამდე გამორბის. იყო შემთხვევები, როდესაც ბრძოლაში ჩაბმულთა დასახმარებლად დაუყოვნებლივ გასვლის ბრძანების გამო მიტინგებს ჰმართავდნენ რის გამოც დახმარება დღეობით იგვიანებდა. ხან მტრის პირველი თოფის გასროლისთანავე მთელი სამხედრო ნაწილები ჰყრიდნენ იარაღს და გამორბოდნენ. ჯარის ზურგს აქეთ რამოდენიმე ვერსტის მანძილზე ზედიზედ მოდიან გამოქცეულები თოფით, უთოფოთ, ჯანსაღები, მაგრამ სირცხვილ-დაკარგულნი. სასჯელის შიში არავის აქვს. ხანდახან ასე იხევს მთელი სამხედრო ნაწილები. საფრონტო კომიტეტების წევრნი და კომისარები სცნობენ, რომ საჭიროა მიღებულ იქნეს სასტიკი ზომები:

რევოლუციის გადასარჩენათ არაფერს არ უნდა მოვერიდოთ. დღეს სამხრ.-დასავ. ასპარეზის მთავარსარდალმა საფრონტო კომიტეტის თანხმობით უბრძანა, გამოქცეულებს სროლა აუტეხონ. საფრონტო კომ. თავმჯდ. დაშევსკი, მე-11 არმიის კომიტ. თავმჯდ. ამხ. პიპიკი, კომისარი ქეკოტილო, გლეხ. საბჭ. ალმ. კომ. წევრი პიანიხი.

პეტროგრადი. ივლისის 9. საზღვაო სამინისტროს გამგე იტყობინება: რეველის ფლოტი დროებით მთავრობას დაუმორჩილდა. ფლოტის ახალ უფროსს ალფრთოვანებით მიეგებნენ. ცნობებია მიღებული, რომ ლენინმა სურვილი განაცხადა მთავრობის განკარგულებაში გადავიდეს, ტროცკიმ კი განაცხადა, რომ ხალხის თვით გასამართლების ეშინია და ამიტომ ითხოვს თვის განკარგულებაში მიიღონ.

ბურცევის სტატია.

გაზ. „რუსსკაია ვოლიაში“ მოთავსებულია ბურცევის სტატია, რომელშიაც აღნიშნულია სია ათი კაცისა, რომელნიც ბურცევის გამოძიებით მუშაობდნენ აჯანყების მოწყობაში. ამ პირთა რიცხვში შედის, სხვათა შორის, მაქსიმ გორკიც. გამომძიებელ კომისიას, რომელმაც ეჭვი მიიტანა, რომ ლენინს დამოკიდებულება ჰქონია გერმანეთის შტაბთან და მიუღია მისგან ფული ყველა ამის შესახებ კომისიას ჯერ არაფერი გამოუქვეყნებია.

---

ღვთაებაა, არსება გონიერი, რომელსაცა აქვს გული, ფიქრი, გრძნობა, მაშასადამე იგი მხეცი აღარ არის. მას ამხეცებს უკუღმართი ცხოვრება, მას აბოროტებს უსამართლობა, მას ამცირებს ძალი-მომრეობა, მას აწვრილმანებს ქონებრივი უსწორმასწორობა, მას აკნინებს უმეცრება, უვიცობა... დაიმხოსმცა ყოველივე სიგლახე ცხოვრებისა და მიეცეს ნიჭსა გზაფართო, თავისუფლება ღირსებას!...

— აკი დაიმხო... აკი დღეს მთელი რუსეთის ცხოვრება გადატრიალდა, აკი დღეს უნდა შევქმნათ ახალი და უკეთესი წესი ცხოვრებისა, მაგრამ როგორ და რა გზით? დავეკითხე ჩემსავე თავს და ..

აქ თვალწინ დამიდგა სიცხადე დღევანდელი დღისა, სივრცე და სიგანე რუსეთისა, ტანჯვა და წვალება რუსეთში მყოფ ხალხებისა, წარსული და აწმყო მათი, გონებრივ-ქონებრივი ძალა თითოეული მათგანისა, სულთა სწრაფვა ხელმწიფე ხალხისა, გულის ტკივილი უგვირგვინო ერთა, მოძღვრებანი და ქადაგებანი პარტიებისა, შური და მტრობა სხვა და სხვა ჯგუფთა შორის...

და აღარ ვიცოდი რომელი ერთისათვის გამეწია ანგარიში!...

— ამხანაგებო! სადა ხართ! მომეცით ხელი, შეერთებულის ძ ლით შევუდგეთ ქვეყნის აშენებას!

და მოვა დრო როცა ქართველი ხალხი დადგება თავის მშობლიურ გზაზე, ას ჩვიდმეტი წლით გაოგნებული გამოფხიზლდება. ერთი ზღვიდან მეორემდე ერთს ფიქრს იფიქრებს და თვითვე დაუწერს კანონებს იმათ, ვინც დღეს ჩვენი ხალხის ჰკუის სწავლებას ჰფიქრობს...

---

მაგრამ ეს იყო მოტყუება ყურისა! თავხედობა მთქმელისა.

ღამპარი ჩამქვარიყო...

გარიჟრაჟი ფანჯარაში იყურებოდა.

გაჰქრენ აჩრდილები.

გურიის ტურფა ბუნება ნელ-ნელა იშლებოდა, სახიერდებოდა.

ლოგინიდან წამოვიჭერ და ფანჯარას გადავეყუდე ..

მთებში ჩამოწოლილი ნისლი იძაფებოდა, მაღლა მაღლა მიდიოდა, ვით კვამლი საკმეველისა, ვით ოცნება შეყვარებულისა, ვით ცრემლი ნამტირალევი დედისა!

ჯერ ერთი მთა გამოჩნდა, მერე მეორე, მესამე, მეოთხე... მეათე...

მდევებავით ჩამომწკრივდენ ბუმბერაზები და ტყით დაბურული მხრები შეიბერტყეს.

ცვარ-მარგალიტებად აბრჭყვიალდენ ნამები ყელმოღერებულ ყვავილ ბალახებზე.

შორიდან მომესმა სუფსას ტკბილი დუდუნი.

დილის ნიავმა ჰარმონიად დააფრქვია იგი.

წვრიმალამ გაიღვიძა. თხემლა-რცხილებმა ტაში დაუკრეს. მზის პირველმა სხივებმა გაჰკვეთეს ყომრალი გულის პირი ცისა და ოქროს გვირგვინად დაადგენ ჩოხატაურის მიდამოს.

აბჭყვრიალდა მთელი გურია და ახლად პირ დაბანილ პატარძალივით ღიმილი დაიწყო.

ხარბად შევისუნთქე დილის სუფთა ჰაერი და აღტაცებით წამოვიძახე პოეტის სიტყვები:

ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!!

**ია ეკალაძე.**

---


## ჩვენი ქვეყნის რედაქციას
ქართულ მწერლობის ერთმა მოტრფიალემ

გადმოსცა **200** მან. საუკეთესო თხზულებისათვის **პრემიათ** გადმოსცა **200** მან.

(განურჩევლათ დარგისა), რომელიც მოთავსებული იქნება ამავე გაზეთის ფურცლებზე 15 ივლისიდან 1 დეკემბრამდე.

წერილი უნდა იყოს არანაკლები 1-სა და არა უმეტეს 3 ფელეტონისა ე. ი. 400—1200 სტრიქონისა.

ჟიურის შემადგენლობა თავის დროზე გამოქვეყნდება.


## ეროვნული კითხვა.

პ. დ. ს.

დეპეშები.

ფინეთის მთავრობის გადადგომა

ჰელსინგფორსი ივლისის 8. გადადგა ფინეთის მთავრობა სენატორ ტოკოისთან ერთად.

უწესოების მიზეზი

კიევი ივლისის 7 უკანასკნელ დღეებში კიევში მომხდარ უწესრიგობაში მონაწილეობას იღებდა სისხლის სამართალში მიცემულთა ორგანიზაცია.

კიევის ოლქის შემთრტემა ივლისის 8. კიევის ახლო სოფ. რუშჩუკში მყოფ 3000 კოლუმბოტკოვცებს სამხ. ოლქის უფროსის ბრძანებით ალყა შემოარტყეს. მცირე სროლის შემდეგ დანებდენ და 3000 თოფი, ტყვიის მფრქვეველი და ბევრი რევოლვერი ჯარს გადასცეს.

## უცხოეთი.

პ. დ. ს.

დეპეშები.

პარიზის კონფერენციაში შტატები მონაწ. არ იღებენ.

**ნიუიორკი.** ივლისის 7 ,,ასოციატედ პრესს‘‘ ვაშინგტონიდან ატყობინებენ, რომ ჩრდილო ამერიკის შტატების მთავრობამ მოკავშირეთა პარიზის კონფერენციაში მონაწილეობის წინადადება არ მიიღო რადგანაც იგი საჭიროდ არა სთვლის მონაწილეობა მიიღოს იმ კონფერენციაზე, რომელიც ამერიკის შესახებ კითხვას არ იხილავს. სახელმწიფო დეპარტამენტი განმარტავს, რომ ეს გადაწყვეტილება იმის მაჩვენებელი არ არის, რომ მომავალში ასეთ პოლიტიკას აწარმოებდნენ

ესპანეთის ამბოხების ჩასაქრობად.

**მადრიდი.** ივლისის 8 შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მდგომარეობა უმჯობესდება ვალენსის ქუჩებში ბრძოლა შემცირდა. პოლიციელისა და აფიცრის მკვლელი ჟანდარმი უკვე დასაჯეს. სანსებასტიანოდან დღეს დილით ჩამოსულ მეფე-დედოფალს ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა.

ჩინეთის პრეზიდენტის განცხადება.

**პეკინი** ივლისის 5 პრეზიდენტის დეკრეტით გამოქვეყნდა დაიცუნის კარის განცხადება, რომ იგი მონაწილეობას არ იღებდა, არეულობაში, რომელიც მხოლოდ ჯანშუნის მიერ იყო გამოწვეული.

სიწყნარე დგება.

მადრიდი. ივლისის 7. ბარსელონაში ცხოვრება კალაპოტში ჩადგა გუშინ დასჯრეს 2 ჟანდარმი და 4 მანიფესტანტი. სტოკჰოლმი. გასამართლება ივლისის 8 რაზინისა და მის ამხანაგთა საქმე, რომელთაც ფინლანდიაში იარაღის გადმოზიდვა ბრალდებათ, სასამართლოს დახურულ სხდომებზე ირჩევა.

## ახალი ამბავი.

გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებული იქნება შეუწყვიტოს გაზეთების გზავნა.

✦ კომისარის გადაყენება. ტყიბულის რაიონის კომისარი გოგიტიძე ქუთ. სამაზ. კომიტეტმა უკვე გადააყენა.

✦ საგუბერნიო ყრილობა. არჩევნები და დადგენილებანი. 10 ივლისს დასრულდა ქუთ. გუბერნიის ალმ. კომიტეტის და კომისარიატის ყრილობა მაზრებიდან ყრილობას 82 დელეგატი დაესწრო. დელეგატების მოხსენებებში უმთავრეს ყურადღებას იქცევდა სასურსათო კრიზისი. ყველა წარმომადგენელი საშინელ სურათებით ხატავდენ ქუთ გუბერნიის უმწეო მდგომარეობას, ქრონიკული შიმშილობა მოელის რაჭას, შორაპანს, გურიას და ლეჩხუმს. შიმშილობასთან საბრძოლველათ ყრილობამ შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა:

1) ყველა ადგილობრივი სასურსათო კომიტეტი უნდა ექვემდებრებოდეს საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს; 2) სურსათს თანასწორათ ანაწილებს საგუბ. სასურსათო კომიტეტი; 3) ყოველგვარ სურსათ სანოვაგეზე შემოღებულ უნდა იქმნას საბარათო სისტემა; 4) მოეთხოვოს დრ. მთავრობას, რომ ქუთაისის გუბერნიას მიეცეს საყოფი სიმინდი; 5) შუამდგომლობა აღიძრას საზღვაო მთავრობის წინაშე, ქუთ. გუბერნიას სიმინდის შემოსაზიდათ მიეცეს ორი სატრანსპორტო გემი.

ეთხოვოს სურსათის სამინისტროს საჩქაროდ მოაშველოს ქუთაისის გუბერნიას 5 ვაგონი სიმინდი 25 ივლისამდე 7) გამოცხადდეს სურსათის მონოპოლია. ყრილობას ყველა სხდომებს თავმჯდომარეობდა ბ-ნი გრ. გიორგაძე. საყურადღებო მოხსენებები წაიკითხეს ბ-ბმა გრ. ურატაძემ. ყრილობამ სახელმწიფოს ნივთიერ დახმარების თვალთახედვით დაადგინა, განახლებულ იქმნას სახელმწიფო და საერობო გადასახადების აკრეფა.

✦ მილიციის საქმე. საგუბერნიო ყრილობამ გადასწყვიტა მილიციაში ისეთი პირებიც მიიღოს, რომელთაც სამხედრო ბეგარა ეხებათ.

✦ დეზერტირები. ყრილობამ მოუწოდა ყველა საზოგადო და მთავრობის დაწესებულებებს, რომ მათ საერთო მეცადინობით აიძულონ ყველა დეზერტირები და ჯარში დააბრუნონ.

✦ კომისარებს ჯამაგირი. ყრილობამ საჭიროთ დაინახა მაზრის ალმ. კომიტეტების კომისარებს და მათ თანაშემწეთ ჯამაგირი მიეცეთ.

✦ მისალმება ა. ჩხენკელს. ყრილობა ესალმება ა, ჩხენკელს, რომელიც კოჯორის გზაზე თავდასხმის დროს უვნებლად გადარჩა.

— არჩევანი. საგუბერნიო ალმ. კომიტეტის ახალი შემადგენლობა ასეთია (ფედერალისტებმა პრეზიდიუმში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს და ყრილობა დასტოვეს, ისე რომ ამის შესახებ მათ კრების თავჯდომარესთვის არაფერი უთქვამთ) გრ. ბარათაშვილი, ლ. გრიგოლია, ალ. ჯაფარიძე, ვლ. ქუთათელაძე, ნ. სოკოლოვსკი, გ. კაპანაძე, პლ. მოდებაძე, თ. აბზიანიძე, ა. გოგიტიძე, გ. ხუნდაძე, კ. საბახტარაშვილი, ვ. ღლონტი, ტ. ლატარია, იოს. სალაყაია, ლ. დადეშქელიანა, ი, ჩიქოვანი, ლ. თევზაძე, გ. მეფარიშვილი, თ. ჩოჩუა, მ. ბასილაია.

— კანდიტატები. ვ. კოპლატაძე, ვ. ჩაქრაძე, მეძმარიაშვილი, ძ. აბულაძე, წიქორიძე, ვ. კანდელაკი, ვ. ტყაბუჩავა.

✦ გაფიცვა. გაიფიცენ ქალაქის თვითმართველობის დარაჯები მეცოცხეები და მეფარნეები. ბ-ნმა გრ. გიორგაძემ ა. ჩხენკელს დეპეშით აცნობა, რომ გაფიცულ მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლათ საჭიროა ახალი სესხის გადადება.

✦ უბედური შემთხვევა. ივლისის 10-ს რიონში თეთრ ხიდთან ბანაობის დროს დაიღრჩო ი. რუხაძის 12 წლის ბავშვი. გვამი. ვერ იპოვეს.

✦ ახალი წიგნი. რედაქციამ მიიღო გრ. გველესიანის წიგნი რუსულათ: „Муниципалный социализм.“ წიგნი შეიცავს 100 გვერდს და ღირს 60 კაპ.

— ლექცია საქართ. ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. 13 ივლისს ქუთაისში ბ-ნი სერგო გორგაძე წაიკითხავს ლექციას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის შესახებ. დაწვრილებით აფიშებში.

— კრება. ხუთშაბათს, ივლისის 13-ს, დილის 12 საათზე, ქალაქის პირველ სასწავლებელში (ივანოვის ქუჩაზე) დანიშნულია სახალხო მასწავლებელთა კრება ფრიად საჭირო საქმის მოსაგვარებლათ. კავშირის მთავარი გამგეობა დაბეჯითებით სთხოვს, როგორც ადგილობრივ, აგრეთვე პროვინციიდან ჩამოსულ დაწყებითი და უმდლეს პირველ [illegible]ებით შკოლების მასწავლებელთ [illegible] დაესწრონ ამ კრებას.

— სასურსათო საქმე. ქალაქის სასურსათო კომიტეტი [illegible] ბაზარის [illegible] გაიფიცენ სასურსათო კომიტეტის საიაქროების მოხამსახურეები. სასურსათო კომ[illegible] ნოვაგე, რომელიც ქალაქში შემოვა სასურსათო კომიტეტის განკარგულებაში გადავიდეს ამ ზომის სისრულეში მოსაყვანათ სასურსათო კომიტეტს თავის არჩეული კაცები ჰყავს ფოსტაში და რკინის გზაზე.

## მსოფლიო ომი

პ. დ. ს.

დეპეშები

აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** ივლისის 9. დვინსკის სამხრეთ დასავლეთით, ვილნოსა და ბარანოვიჩის მიმართულებებზე საარტილერიო ბრძოლა გაძლიერდა. ტარნოპოლის დასავლეთით მოწინააღმდეგე შეტევას ავითარებდა საერთოდ ტარნოპოლის მიმართულებით სამხრეთით. ჩვენი ჯარი სრულებით არ ემორჩილებოდა უფროსებს და მდ. სერეტზე უკან გადმოვიდა ნაწილი კი მტერს თავისი ნებით ჩაუვარდა ტყვედ. მტერს წინააღმდეგობა გაუწიეს მხოლოდ მე 155 ქვეითა დივიზიამ დოლჟანკა დომომარის მიდამოებში და ჯავშნიანმა ავტომობილებმა, რომლებმაც ტარნოპოლის შარაზე გერმანელთა ცხენოსნები გასწყვიტეს. ივლისის 8 საღამოთი ჩვენი ჯარი მდ. სერეტზე შესდგა ზალოუჩ — ტანოპოლ — მიშკოვცეს ხაზზე. ტარნოპოლის წინა უბანი სოფ. ზაგორბელი მტრის ხელშია. მიუხედავათ იმისა, რომ ძალთა და ტეხნიკის უპირატესობა ჩვენს მხარეზე იყო, საცა კი მტერი შემოგვიტევდა, ჩვენი ჯარი თითქმის შეუჩერებლივ უკან იხევდა, რაც აიხსნება იმით, რომ ჯარში სიმტკიცე არ იყო, ბჭობდნენ ბოლშევიკების ქადაგებით იმაზე, შეასრულონ უფროსების ბრძანება თუ არა. მდ. ლომნიცაზე ს. ს. ვაბინ, სდუძინკას მიდამოებში საარტილერიო მომზადების შემდეგ მტერმა წინსვლა იწყო. სოფ. ვაბინში მდგომი ჩვენი ჯარი მოწინააღმდეგემ მდ. ლომნიცაზე გადმორეკა. დანარჩენ ასპარეზზე სროლაა.

დასავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** ივლისის 7 ოფიციალი ვილნის მიმართულებით მთელ დღის განმავლობაში საარტილერიო მოქმედება სწარმოებდა. პერნიაკი გარბუზოვის ფრონტზე (ბროდის სამხრეთით 30 ვერსზე) მტერმა დიდი ხნის საარტილერიო სამზადისის შემდეგ რამდენჯერმე შემოგვიტია. პირველად ყველგან ვიგერიებდით 10 საათზე. ბატკუვ-განაიუკის უბანში მლინოვის 607-ე პოლკმა თავის ნებით თხრილებში დასტოვა. ამას მეზობლების დახევა მოჰყვა, და მტერსაც ეს უნდოდა, გამარჯვება მას დარჩა. ჩვენი მარცხი ყველაზე მომეტებულად იმით აიხსნება, რომ ჯარის ზოგიერთმა ნაწილებმა ბრძანებას ყური არ ათხოვეს. ალაგ-ალაგ მიტინგებს ჰმართავენ დაიმაზე მსჯელობენ უნდა ავასრულოთ ბრძანებები თუ არა. რამდენიმე პოლკმა ბრძანებებზე უარი განაცხადეს. ბევრი ასპარეზს სრულიად უმიზეზოდ სტოვებდა. უფროსებისა და კომიტეტების ყოველივე ღონისძიება უნაყოფოდ რჩებოდა, ბრზეჟანის აღმოსავლეთით მდებარე შიბალინის სამხრეთით გერმანელ-ავსტრიელებმა გამეორებულ იერიშებით ჩვენი პირველ წყების თხრილები დაიჭირეს. ჩვენებმა გალიჩის დასავლეთით მდებარე სოფ. ბლუდნიკი დასტოვეს მტერმა ამით ისარგებლა და ეს სოფელი თვითონ დაიჭირა ჩვენ იმ სოფლის დაბრუნების ცდამ უნაყოფოდ ჩაგვიარა დამატებითი ცნობების მიხედვით, მკათათვის 4-ს 19 საათზე მტერმა კალუშის სამხრეთით მდებარე ს. ნოვიცი დაიჭირა და ერთმა ჩვენმა პოლკმა უკან დახევა იწყო. ამ კრიტიკული მომენტის დროს გენერალ-მაიორმა თავად გაგარინმა შტაბის კაპიტან ბურიგინის წინამძღოლობით იუხნოვსკის პოლკის ერთი ბატალიონი წასწია წინ. ბურიგინმა ენერგიული შეტევა დაიწყო. მალე აღარც გაგარინმა აცალა, და შეტევა დაიწყო. მას მარცხნივ დახესტნელების პოლკი მიჰყვებოდა და მარჯვნივ კი ჩერქეზ-ყაბარდოელები მალე მდგომარეობა მთლად შეიცვალა. თავზარდაცემული მტერი ილტოდა. შეტევის გამარჯვებას უბნის არტილერიაც ხელს უწყობდა.

რუმინეთის და კავკასიის ასპარეზზე.

მდგომარეობა უცვლელია.

**პარიზი.** ივლისის 7. იუსტებიზის მიდამოებში ზარბაზნების სროლა გაცხოველდა. კრაპრსა და ვოკლერის შუა საარტილერიო მომზადების შემდეგ მტერმა იერიშები განაახლა. კოზიცუში ყველგან შევინარჩუნეთ. მიუხედავად იმისა, რომ მტერმა დიდი ზარალი ნახა, მან წინ წამოწევა ვერ შესძლო. კალიფორნიის ვაკე გორაკზე აუარებელი დაჭრილ დახოცილი ყრია გერმანელებისა. კალიფორნიასა და კაზებიტს შორის წინა ღლით დაპყრობილი ადგილები მიუხედავად დიდი ცდისა გერმანელებმა ვერ შესძლეს გამოვართოვებინათ. შამპანში ნავარინის ფერმისა და სანტილერის გზის შუა მტრის თავდასხმა მოვიგერიეთ. მდ. მაასის მარცხენა ნაპირზე არტილერიის მოქმედებაა ორივე **მხრით.**

**ლონდონი.** ივლისის 8. არქიკურის ჩრდილო აღმოსავლეთით გუშინ საღამოთი მტრის რაზმი, რომელიც ჩვენს სანგრებზე თავდასხმას აპირებდა, უკუ ვაქციეთ. დანარჩენ ასპარეზზე ღირს შესანიშნავი არაფერი მომხდარა გარდა ზარბაზნების ჩვეულებრივი სროლისა.

**პარიზი.** ივლისის 8. მდ. ენზე მთელი ღამე მოქმედება სწარმოებდა ვრენანდოუარნის, სერნისა და ვირტებიზის ჩრდილოეთით და კიდევ სხვა ალაგებში მტერი მძლავრად აწარმოებდა ზარბაზნების სროლას და იერიშზე გადასვლას სცდილობდა. ჩვენი ჯარის სიფხიზლისა და მარჯვე სროლის წყალობით მტერმა მიზანს ვერსად მიაღწია.

ბრეიაკლოუანუარის ჩრდილოეთით ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ჩვენ სანგრებში შემოსეული მტერი განვდევნეთ. სერნის სამხრ. აღმ. მტრის იერიში მოვიგერიეთ. გაფთრებულ ბრძოლის შემდეგ უკუ ვაქციეთ 250 ადლის მანძილზე ჩვენ სანგრებში შემოჭრილი მტრის რაზმები. სერნის სამ. დასავ. გერმანელთა წინსვლა უნაყოფო გამოდგა, თუმცა ისინი ცეცხლის მსროლებს იშველიებდნენ აილის სამხრეთით ჩვენებმა ყუმბარებით მოიგერიეს გერმანელთა 2 იერიში. იურტებიზისა და კალიფორნიის ვაკე გორაკზე ჩვენმა არტილერიამ გერმანელები სანგრებიდან არ ამოუშვა. გერმანელები დიდათ დაზარალდნენ. დანარჩენ ასპარეზზე შედარებითი სიწყნარეა, გარდა შამპანისა, სადაც შევალიეს ტყეებში, ნავრის მაღლობებზე ცხოველი საარტილერიო სროლაა.

**ჰავრი.** ივლისის 7. ოფიციალი. ჩვეულებრივი საარტილერიო სროლაა, უფრო განცხოველდა სტეენსტრატეს მიდამოებში ერთმა ჩვენმა მფრინავმა ყუმბარის სროლით აიძულა დაბლა დაშვებულიყო მტრის საფრენი დიქსმიუდესა და ბუმელინის მიდამოებში.

**ლონდონი.** ივლისის 7. მავრილის პირდაპირ და იპრის ჩრდილოეთით მარჯვე თავდასხმა მოვახდინეთ და ტყვეები წამოვიყვანეთ. სენკანტენის ჩრდილო დასავლეთით და ლანსის სამხ. დასავლ. ზარბაზნების სროლა გაცხოველდა,

ბალკანეთის ასპარეზი.

**პარიზი.** ივლისის 7. გუშინ ინგლისელთა მფრინავებმა მტრის საწყობებს ყუმბარები დაუშინეს და ცეცხლი გაუჩინეს. მდ. ვარდრზე მოწინავე რაზმების შეტაკებაა, ხოლო მონასტირის მიდამოებში ცხოველი საარტილერიო სროლაა.

აფრიკაში.

**ლონდონი.** ივლისის 7. აღმ. აფრიკაში ინგლისის ჯარმა კიდევ გაიმარჯვა რამდენიმე სამხედრო ნაწილმა კილმისა და რინგის სამხ. აღმ. მდ. იპეზე მტერს პოზიციები წაართვა. მეორე ნაწილი ინგლისელებისა პორტუგალიის კიასალენდეში მაგენჯისკენ მიიწევს. ამათ პორტუგალელებთან ერთად ივნისას 27. მივომბედან გერმანელები განდევნეს, დამარცხებული მტერი 30 მილიონ მილის მანძილზე სდევნეს. ჩრდილოეთით ბელგიელები იკომის მიმართულებით ნატრონისტბის დასავლეთით წინ მიიწევენ.

**ოდესა.** ივლისის 7. როგორც ავტორიტეტულ წყაროებიდან იტყობინებიან რუმინელთა ბრძოლის პირზე მოწინააღმდეგემ 100-ზე მეტი ყუმბარა ესროლა სად. მეირეშტს; ესროლა აგრეთვე სად. ივანეშტს.

**სევასტოპოლი.** ივლისის 7. ჩვენმა მსუბუქმა ნავებმა დუნაის ნაპირზე ჯარი გადასხა, სოფელზე იერიში მიიტანა, იქ მყოფი ბულგარლები ზოგი დახოცა და ზოგიც ტყვეთ წამოიყვანა. ჩვენმა ჯარმა ხელთ იგდო ტყვეები და სხვა დივლა

## იაპონელი კაპიტალისტები კავკასიაში.

გაზ. „თერგში“ ცნობაა მოყვანილი შესახებ იმისა, რომ გასულ წელს ცნობილი იაპონელი კაპიტალისტები ბარონ ოგიმაჩი და მიაკოსი კარგა ხანს იყვენ კავკასიაში, შეისწავლეს ადგილობრივი სამრეწველო პირობები და იაპონურ ენაზე გადაათარგმნინეს კავკასიის სამეტალურგიო აღწერის ბროშურები, რომლის გულისთვის კიდეც გადასდეს 25,000 იენი (იენი უდრის რუსულით 1 მან. 50 კაპ.). ამის შემდეგ კაპიტალისტები მოსკოვში შეიკრიბენ და თათბირი გამართეს საქმის დასაწყებათ. სხვათა შორის თათბირში მხურვალე მონაწილეობა მიიღო ჩვენმა თანამემამულემ თ-დმა პ. თუმანიშვილმა, რომელმაც იაპონელებს ხელმძღვანელობა აღუთქვა. ძველი რეჟიმის დროს საკონცესიო ხელშეკრულების დასადებათ იაპონელები ფინანსთა სამინისტროს სავსებით ვერ შეუთანხმდენ და ამის გამო ჯერ მოქმედება არ დაუწყიათ, თუმცა ყოველგვარად მზად არიან და ელიან საჭირო ხელსაყრელ პირობის მიღებას.

## ეროვნული კითხვა.

სოციალ ფედერალისტთა პარტიის დადგენილება კავკასიის ერთა კრების მოწვევის შესახებ.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარმა კომიტეტმა იქონია მსჯელობა ამიერ-კავკასიის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ და მხედველობაში მიიღო:

1) რომ ამიერ-კავკასიის ერებში სარევოლიუციო მოძრაობის განვითარებას და ამ ერების დემოკრატიის ერთმანეთთან დაახლოვებას ხელს უშლის ურთიერთის უნდობლობა,

2) რომ ამ საურთიერთო უნდობლობის საფუძველს შეადგენს გამოურკვევლობა იმისი, თუ როგორ უნდა მოეწყოს რევოლიუციით განახლებულ რუსეთში ადგილობრივ ერების პოლიტიკური ცხოვრება, რა პოლიტიკური თუ სადმინისტრაციო ერთეულები უნდა დაარსდეს ამიერკავკასიაში და როგორ უნდა შემზადდეს ადგილობრივ ერებითვის საჭირო პოლიტიკური რეფორმების განხორციელება

და 3) რომ მიუცილებელი საჭიროება მოითხოვს ამიერკავკასიის მკვიდრ ქართველების, სომხების და მუსულმანების შორის დამყარდეს შეთანხმება ამიერკავკასიის პოლიტიკურ პლატფორმის შესახებ,

და დაადგინა: 1) საჭიროა მოწვევა ერთსა და იმავე დროს პარალელურად ქართველების, სომხების და მუსულმანების საერო კრებისა და დამყარება მათ შორის შეთანხმებისა საერთო საპოლიტიკო პლატფორმის ნიადაგზე, რისთვისაც სამთავე საერო კრებამ უნდა იქონიოს მოლაპარაკება ერთმანეთთან დელეგაციების საშუალებით, 2) დაევალოს მთავარ კომიტეტის პრეზიდიუმს შეუდგეს სამზადისს ზემოხსენებულ საერო კრებათა მოწვევისთვის, რისთვისაც ეხლავე გამართოს მოლაპარაკება ამიერკავკასიაში მომქმედ პოლიტიკურ და ნაციონალურ ორგანიზაციებთან და 3) დაევალოს მთავარ კომიტეტის პრეზიდიუმს შეადგინოს საგანგებო ბიურო საერო კრებათა მოწვევისთვის ყველა პოლიტიკურ პარტიების და ნაციონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლთაგან.

საქ. სოც.- ფედ. სარევოლიუციო პარტიის მთავარმა კომიტეტმა სათანადო წერილებით მიმართა უკვე ქართველ, სომხის და მუსულმანთა პოლიტიკურ ორგანიზაციებს და სთხოვა გამოგზავნონ ორორი კაცი საერთო მოლაპარაკების გასამართავად.

ფინეთის დამოუკიდებლობა.

ჰელსინგფორსი. მკათათვის 6. ფინეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო ფინეთის სეიმი გადადგა. დღეს ფინეთის სეიმზე სენატზე და სხვა მთავრობის შენობებზე ფინურ ეროვნული დროშები აფრიალეს.

ავტონომიის კანონპროექტი სეიმში.

ჰელსინგფორსი. მკათათვის 6. სეიმმა იმის შესახებ, თუ რამდენად საჭიროა ფინეთის ავტონომიის კანონპროექტი მიიღო 165 ხმა—27 წინაღმდეგ. შემდეგ თვით კანონპროექტზე 136—წინაღმდეგ 55 ხმისა. უალსის განცხადება, კანონის დროებით მთავრობისაგან დამტკიცების შესახებ, სეიმმა არ მიიღო. როგორც სეიმის წესდების მე 60-ე დებულება მოითხოვდა, კანონპროექტის ხმის მიმცემნი უმეტესობას შეადგენდნენ.

პარტიათა წარმომადგენლების აზრი.

ჰელსინგფორსი. მკათათვის 6. ახალგაზდა ფინმა რაკალიომ განაცხადა, რომ დღევანდელი მოთხოვნილება დამყარებულია რუსეთის მილიტარიზმის სისუსტეზედ. ს.-დ. ვიიკმა განაცხადა, რომ პეტროგადის ამბებს დიდი მნიშვნელობა ეძლევათ ომის გათავებისთვის. შვედომანი ბიუბერგსონი მოითხოვს, რომ კანონის წარდგენა დამტკიცებულ იქმნას პეტროგრადის მიერ, რომელიც ფრიად დაინტერესებულია ამ საქმეში. ს. დ. ხაინენინმა განაცხადა, რომ რუსეთი ფინეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი არ იქნება. აგრართა კილომ სთქვა, რომ დრ. მთავრობას ნება ეძლევა უკანასკნელ სიტყვის თქმისა. ხანგრძლივის კამათის შემდეგ მიღებულია პროექტის დაჩქარება.

ფინეთის სავალიუტო სესხი.

ჰელსინგფორსი. მკათათვის 7. კანონპროექტის მეორედ წაკითხვისას სეიმმა განიხილა რუსეთის სავალიუტო სესხის (370 მილ. მარკ) კანონ-პროექტი. საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ჰიულინგმა განაცხადა, რომ რუსეთს უკვე მიეცით სეიმის დაუკითხავად 300 მილიონი. ახლანდელი სესხის გაღებაც ჰსურდა სენატს სეიმის დაუკითხავად. ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ ს.-დ ფრაქცია სესხის მიცემას ემხრობა. ხუტტენენმა განაცხადა, რომ რუსეთის დელეგაციას არაფერს არ დავპირებივართ. სეიმმა მიიღო მოხსენება დიდი კომისიისა სესხის უარის შესახებ. სესხის ვალიუტი მხოლოდ უბრალო დახურდავებით მოხდება. მეორე განხილვა დასრულებულია.

პოლონეთი და გერმანეთი.

სტოკჰოლმი მკათათვის 5. ამას წინედ დამოუკიდებელმა კომისიამ პოლონეთის შესახებ შემდეგი გამოაქვეყნა: პოლონეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაფუძნება დიდს საფრთხეს უმზადებს გერმანეთს. გერმანეთის იმპერიამ უნდა შეინარჩუნოს უმაღლესი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიური ხელმძღვანელობა პოლონეთისა. გერმანეთმა უნდა ჩამოართვას სახაზინო ქონება. კურლიანდია, ლიტვა და სუვალკის გუბ. ვილნის გროდნის და მინსკის გუბ. ნაწილები უნდა შეუერთდეს არა პოლონეთს, არამედ გერმანეთს. პოლონეთის სამეფოს შემდეგი შინაგანი მოწყობილება დროებით უნდა შეჩერებულ იქმნეს.

## მეურნეობა.

სრულიად რუსეთის მიწის მესაკუთრეთა ყრილობა.

მოსკოვში გაიხსნა სრულიად რუსეთის მიწის მესაკუთრეთა პირველი ყრილობა, რომელსაც 4000-ზე წარმომადგენელი დაესწრო. მათ შორის დიდი ნაწილი გლეხობა იყო. თავმჯდომარე ვულფერტმა გახსნა ყრილობა და სთქვა, რომ მიწის მესაკუთრენი და მიწის მუშები დიდიდან რუსეთის არსებობისა სახელმწიფოს საფუძველს შეადგენენ და მათ მიზანს ყოველთვის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის ზრუნვა შეადგენდა და არა პირადი, ანუ კლასობრივი ინტერესების. მეფარხნეთა, ვაჭართა და ბანკირებსავით ისინი არ სარგებლობდენ თავის მეურნეობაში დიდი შემოსავლით. ამ ომმა მეტად უმწეო მდგომარეობაში ჩააყენა თუმცა სასოფლო მეურნეობა, მაგრამ მიწის მესაკუთრენი მაინც პირნათლად ასრულებდნენ თვის მოვალეობას. ესენი ყოველთვის საზოგადო მოღვაწე პირები იყვნენ. მათი მდგომარეობა ამ რევოლიუციის უკანასკნელ თვეებში მეტად უნუგეშო და მძიმე ასატანი შეიქმნა. სხვა და სხვა კავშირებისა და ორგანიზაციების დაარსებამ მათ შორისაც დაბადა შეკავშირების აზრი მოსკოვში, რასაც მთელს რუსეთში სიხარულით მიეგებნენ და დაიწყეს შეკავშირება. ყრილობის მიზანი არის იმ საშვალებათა და ღონის ძიებათა გამონახვა, რომელიც შეინარჩუნებს სასოფლო სამეურნეო კულტურას. რუსეთის მთელს მეურნეობას და სიმდიდრეს საშინელი საფრთხე მოელის. მეურნეობის სრული დარღვევა რუსეთში უსათუოდ იქამდი მიგვიყვანს, რომ ახლად დაწყებული პროცესი გლეხის შრომის განთავისუფლებისა ხელახლავ მონობის უღელში მოემწყვდევა და დაიწყება უცხო კაპიტალთან ბატონ- ყმური დამოკიდებულება. თუ სახელმწიფოში სასოფლო მეურნეობის კულტურა დაეცა, მაშინ ეკონომიურ ძალთა განვითარების გზით სიარულის საშვალება მოისპობა და მცხოვრებლებს შიმშილი დაემუქრება. ჩვენ უნდა მჭიდრო კავშირი შევკრათ, შევერთდეთ, შევედულოთ ყველა არსებულ მიწის მესაკუთრეთა კავშირებს და მთელი ჩვენი ძალღონე საერთო მიზანს მოვახმაროთ—სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებას და მიწაზე კერძო საკუთრების უფლების დაცვას, რადგან ეს უფლება არის საძირკველი ყველა სახელმწიფო სწორი და სამართლიანი მეურნეობის ცხოვრებისა.

შემდეგ მოხდა პრეზიდიუმის არჩევნები ილაპარაკა სასოფლო-სამეურნეო პალატის წარმომადგენელმა კრაპიტკინმა, რომელიც აღნიშნავს, რომ ხალხთა მასას ხელმძღვანელობენ სრულიად უხეში და საქმის უცოდინარი წარმომადგენლები რამდენიმე პოლიტიკურ პარტიებისა რომელთაც თვისი პირადი ინტერესები საშობლოს ინტერესებზე მაღლა დაუყენებიათ. მათი მქადაგებელნი ლოზუნგებიდან აშკარად სჩანს, რომ ისინი სრულიად ვერ ერკვევიან სახალხო მეურნეობის საქმესა და სახელმწიფოს მდგომარეობას სოფლის მეურნეობის მხრივ. რუსეთის ცხოვრების ამ სასიკვდილო მომენტს უსათუოდ აღნიშნავს ისტორია. გლეხებმა, უნდა შეისმინონ, რომ ეხლა არ არის დრო მარტო იმ მისწრაფებისათვის რომელიც სხვისი საკუთრების მოტაცებისაკენ არის მიმართული. ისინი არ უნდა უგონებდენ იმ საოცნებო თეორიებს, რომელსაც სხვა და სხვა პარტიების ხელმძღვანელები ქადაგებენ. დრო მოვა და გაიგებენ გლეხებიც, რამდენი სიყალბეა იმ ლოზუნგებში, რომლებითაც მათ იტაცებენ. ეხლაც იწყებენ უკვე. ამის გაგებას გლეხები ადგილობრივ უნდა შეკავშირდენ და შევიდენ სასურსათო და სამიწო კომიტეტების შემადგენლობაში (ხმები ისმის: მათ არ უშვებენ იქ.) თუ არ უშვებენ, მაშინ გლეხებმა უნდა გამოირკვიონ, რომ ეხლანდელი მიწების დატაცება, მემამულეთაგან თუ ურთიერთაგან, იქამდის მიიყვანს მათ, რომ ერთი მეორეს გამოტირონიან ლორტებს გლეხები. მიწის გარშემო ამტყდარი რღვევა, სრულიად დაუშვებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

თავმჯდომარე მოუწოდებს მისასალმებელი დეპეში გაეგზავნოს ლვოვს, კერენსკის, ჩერნოვს, ბრუსილოვს, როძიანკოს. (გაისმის ხმები: „ლვოვსა და ჩერნოვს არ გაუგზავნოთო. ჩვენ თაყვანს ვერა ვსცემთ და ვერც მადლობას მიუძღვნით იმისთვის, რომ ჩვენ შეგვგვარცხვენეს“).

12 ხმის წინააღმდეგ მისალოცი დეპეში გაეგზავნა ყველას. ყრილობა გაიყო შემდეგ სექციებად: 1) საწესდებო 2) საარჩევნო 3) სოფლის მეურნეობის დღევანდელ მომავალი მდგომარეობის გამოსარკვევად სხვადასხვა პარტიათა პროგრამების მიხედვით. 4) საორგანიზაციო. 5) საპროპაგანდო სალიტერატურო. 6) იურიდიული და 7) ფინანსიური.

საადგილ-მამულო კომიტეტის სესია.

გაიხსნა საადგილ-მამულო მთავარ კომიტეტის მეორე სესია. კრება გახსნა თავმჯდ. პროფ. პოსნიკოვმა, რომელმაც აღნიშნა დიდი მავნებლობა სეპარაციულ გამოსვლებისა მიწის კითხვის გადაჭრაში და სთქვა, რომ აგრარული კითხვის სისწორით გადაწყვეტას მეტის მეტი და მძიმე ასატანი შრომადა სჭირდება აუცილებელია საშვალებათა გამოძებნა პარტიათა შესათანხმებლად აგრარულ კითხვაში, რადგან მხოლოდ ამ გზით და ამ პირობებში შეიძლება მიწის პრობლემის სამართლიანათ გადაჭრა რუსეთში. სადაც სხვადასხვა ადგილობრივი პირობები უკიდეგესად განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. სამიწოდ მოქმედო მინისტრმა ჩერნოვმა სთქვა, რომ სიტყვების დრო ეხლა არ არის, საქმე უნდა ვაკეთოთო. დამფუძნებელ კრებამდის სამილა თვე დაგვრჩა, და თუ მანამდის ვერ დავამზადეთ სამიწო რეფორმის პროექტი, დამფუძნებელი კრება სრულიად რუსეთის მიტინგად იქცევა, რაც მეტად სახიფათო არისო. ის ეთანხმება იმ აზრს, რომ სეპარაციულად გადაჭრა მიწის კითხვისა მავნებელია და ამბობს, რომ თუმცა ასეთ მოვლენებს აქვს აქა იქ ადგილი, მაგრამ, საერთოდ, რუსეთის გლეხობა სიმშვიდეს და დიდს სახელმწიფოებრივ ტაქტს იჩენსო.

მოხსენება წაიკითხა ოგანოვსკიმ შესახებ იმისა, თუ როგორი დამოკიდებულება სუფევს ადგილობრივ მიწის კითხვის გარშემო და აღნიშნა, რომ მის მოწესრიგებაში ძალიან ბევრი მთავრობა არსებობს.

ამ საქმეებს განაგებენ. გლეხთა ყრილობები, მუშ. და ჯარ. კაც. დეპუტ. საბჭოები, სახელმწიფოებრივი თავდაცვის კომიტეტები, პარტიული ორგანიზაციები და სხვა. ასეთ მრავალი მთავრობიანობას არა სასურველი ნაყოფები გამოაქვს... ყოვლად აუცილებელია, რომ მიწის კითხვის მოწესრიგებას მხოლოდ ადგილობრივ საადგილ-მამულო კომიტეტის ხელში დარჩესო.

## უცხოეთი.

სტოკჰოლმის კონფერენცია და ციმერვალდელები.

რუსეთის დელეგაცია გაიმეორებს მოწოდებას ციმერვალდელებისადმი, რათა [illegible] კონფერენციას. ამასთანავე ის აპირებს განცხადებას, რომ რუსეთის დელეგაცია [illegible] მონაწილეობის მიღებაზე, თვის მოვალეობად სთვლის კონფერენციის მოწვევის უზრუნველყოფას. დელეგაციის აზრით გამორკვეულია, რომ კონფერენციაში მიიღებენ მონაწილეობას ნაწილი რუს-ციმერვალდელებისა, გერმანეთის დამოუკიდებელი სოც.-დემ. პარტია; გერმანული ჯგუფი „სპარტაკი“, ინგლისისა და საფრანგეთის სოციალისტთა უმცირესობა, და აგრეთვე იტალიის სოც. დემოკრატიული პარტია.

ჩეხეთის ეროვნულ-სოციალისტების პროგრამა.

ჩეხური გაზეთები იტყობინებიან, რომ ჩეხელმა ეროვნულ-სოციალისტურმა კლუბმა განაცხადა რომ ისინი წინააღუდგებიან ომის გათავებამდე ჩეხელების მთავრობის შემადგენლობაში შესვლის ყოველგვარ ცდას, მთელის ძალითა და ღონით იბრძოლებენ დუალიზმის მოსასპობად და შესაქმნელად ჩეხეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოსი, რომელშიც შევლენ ჰუნგრეთის სლოვაკები.

ჰუნგრეთის პრემიერი ზავზე.

ჰუნგრეთის პრემიერ მინისტრმა სთქვა: ამ ომს ვაწარმოებთ როგორც თავდაცვითს და მიზნად არა გვაქვს დასახული ვისმე რამე წავართვათ.

ამაში ჩვენი მტრები ეჭვს ვერ შეიტანენ, რადგან ჩვენ მთელი მსოფლიოს წინაშე დავამტკიცეთ, რომ ზავის ჩამოგდებისათვის მზადა ვართ და მტრებმა კარგად იციან, რომ ორპოფული ჩვენი გამოსვლები არ იყო. ზავის წინადადება წარვადგინეთ ჩვენს მოკავშირეებთან სრული თანხმობით. ჩვენ ხაზი გაუსვით იმას, რომ საპატიო და ყველასათვის მისაღები ზავი შესაძლებელი არის და მისი მოახლოვება სავსებით დამოკიდებულია ჩვენს მოწინააღმდეგეებზე. ამას მე განსაკუთრებით ვუსვამ ხაზს, თუ რომელიმე პარტიამ ეს აზრი სხვანაირად გამოსთქვა, პასუხსაც ის აგებს.

კონტროლი გატანილ საქონელზე.

ბამბეულობის გაზიდვა, ამერიკის ქარხნებში ამაფეთქებელ მასალების დასამზადებლად რომ ხმარობენ, პრეზიდენტის დადგენილებით აღკრძალულია. გამოირკვა, რომ 1914 წელს მარტო შვეციიდან იქნა შეზიდული გერმანეთში 9.800.000 გირვანქა ბამბეულობა.

ლიტერატურული კონვენცია ამერიკასთან.

როგორც იტყობინებიან, ჩრდილო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წინადადება მისცეს რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს, რათა შეკრული იქნეს ლიტერატურული კონვენცია. ამან გაცხარებული წინააღმდეგობა გამოიწვია სამინისტროში.

ამერიკის ასეთი წინადადება მეტად ფართო უფლებებს ანიჭებს ამერიკელ მოქალაქეთ, იმ დროს, როდესაც რუსების უფლებები მეტად შემცირებულია.

რედაქტორ-გამომცემელი
**დ. ბ. კვირკველია.**


## ექიმები:

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, გიტეშინსკის სახლი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

**ა. მ. ახათიანი** ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ვ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12\frac{1}{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სხ. ტელეფონი 135 №.


სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა [illegible] სახლი, ქუთაისში.